INFINITE ENERGY

უსასრულო ენერგია

47/57 მ. კოსტავას ქ., ბიზნეს ცენტრი სინამდვილე
ოფისი 29, 0179 თბილისი, საქართველო
+995 790 200 322 | info@infinite.ge | www.infinite.ge

ორშაბათი, 15 ივნისი, 2020
წერილის ნომერი IE-20112018-PA-07

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2020 წლის 12 ივნისის N5394/01 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში 33/110 კვ. ქვესადგური „იმერეთის" და ორჯაჭვა ეგხ „იმერეთის" (110 კვ.) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხს, გაცნობებთ, რომ 33/500 კვ ქვესადგურის ნაცვლად 33/110 კვ ქვესადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, თქვენი ზემოაღნიშნული წერილის შესაბამისად, ,,მპს ,,უსასრულო ენერგიას'' 85 მგვტ. სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის ,,იმერეთი-1'' მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე'' გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის N2-290 ბრძანების შესაბამისად გაცემულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქმიანობაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი იქნება მოგვიანებით.

რაც შეეხება საპროექტო 110 კვ ორჯაჭვა ეგხ-ს მშენებლობას, აღნიშნული საქმიანობა, წარმოდგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' II დანართის 3.4 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობას (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა) და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. ხოლო, ამავე მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, ,,თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიიჩნევს, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, მას უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები''.

ზემოაღნიშნულისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, წარმოგიდგენთ, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, მპს ,,უსასრულო ენერგია''-ს ,,110 კვ ეგხ ,,იმერეთი''-ს (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის'' სკოპინგის ანგარიშს.

დანართი: 1. ,,110 კვ ეგხ ,,იმერეთი''-ს (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის'' სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზ
2. ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია და საპროექტო ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD.

პატივისცემით,
თორნიკე ბახტურიძე
აღმასრულებელი დირექტორი
დირექტორთა საბჭოს წევრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9124
"19" 06 2020
ელ. ფ.
ოფიციალური + 03 +